# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/32 “ 14 ” თებერვალი 2023 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ზ. რამიშვილის ხაშურის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ**

„ზ. რამიშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 თებერვლის №1/12 განკარგულების შესაბამისად ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზ. რამიშვილი მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის საფუძველზე დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ხაშურის რაიონულ სასამართლოში ზაზა რამიშვილის წარმოებაში დასრულების სტადიაზე მყოფ საქმეთა სხვა მოსამართლეებისათვის გადაცემით გამოწვეული საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია, ზ. რამიშვილი გარკვეული ვადით მივლინებულ იქნეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში. ამ მიზნით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიემართა მოსამართლე ზ. რამიშვილს და მიღებულ იქნა თანხმობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ზაზა რამიშვილი მივლინებულ იქნეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2023 წლის 15 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი